

# 0-6 წლის ასაკის ბავშვთა განვითარებაზე მეთვალყურეობა/მონიტორინგისა და სკრინინგის რეკომენდაციები პირველად ჯანდაცვაში

კლინიკური მდგომარეობის მართვის სახელმწიფო სტანდარტი  
(პროტოკოლი)

2021

მომზადებულია საქართველოში ჩეხეთის რესპუბლიკის კარიტასის (CCR Georgia) პროექტის „დედათა და ბავშვთა ჯანმრთელობის კომპონენტის გაძლიერება პირველადი ჯანდაცვის სისტემაში ბავშვის განვითარების ასპექტების გაერთიანებით, მათ შორის, COVID-19 გაკვეთილების გათვალისწინებით“ ფარგლებში, გაეროს ბავშვთა ფონდის (UNICEF) მხარდაჭერით

## სარჩევი

1. პროტოკოლის დასახელება .....	3
2. პროტოკოლით მოცული კლინიკური მდგომარეობები და ჩარევები.....	3
3. პროტოკოლის შემუშავების მეთოდოლოგია .....	3
4. პროტოკოლის მიზანი .....	4
5. სამიზნე ჯგუფი .....	4
6. ვისთვის არის პროტოკოლი განკუთვნილი .....	4
7. სამედიცინო დაწესებულებაში პროტოკოლის გამოყენების პირობები .....	4
8. რეკომენდაციები .....	5
8.1 განსაზღვრება, ეპიდემიოლოგია: .....	5
8.2 განვითარების მეთვალყურეობისა და სკრინინგის დადებითი მხარეები და შესაძლო პრობლემები: .....	6
8.3 ბავშვის განვითარებაზე მეთვალყურეობა/მონიტორინგი .....	7
8.4 განვითარების სკრინინგი .....	10
8.5 სკრინინგის შედეგების ინტერპრეტაცია და შემდგომი ქმედებები:.....	11
8.6 ბავშვის განვითარებაზე მეთვალყურეობის და სკრინინგის რეკომენდაციები - შეჯამება: .....	12
9. პროტოკოლის დანერგვისთვის საჭირო ადამიანური და მატერიალურ-ტექნიკური რესურსი .....	13
10. აუდიტის კრიტერიუმები.....	14
11. პროტოკოლის გადახედვის ვადები .....	15
12. სამუშაო ჯგუფი:.....	15
13. გამოყენებული ლიტერატურა.....	16
14. დანართები .....	16
დანართი N1 - დეპრესიის შკალა.....	17
დანართი N2 - განვითარების ნიშანსვეტები საშუალო ასაკის მიხედვით .....	19
დანართი N3 - განვითარების საშიშროების ნიშნები 0-6 წელი.....	28
დანართი N4 - აუტიზმის მოდიფიცირებული განახლებული კითხვარი ადრეული ასაკის ბავშვებისთვის M-CHAT-R™ .....	29
დანართი N5 - სქემა 1. ბავშვის განვითარებაზე მეთვალყურეობის და სკრინინგის საფეხურები .....	30

## 1. პროტოკოლის დასახელება

0-6 წლის ასაკის ბავშვთა განვითარებაზე მეთვალყურეობა/მონიტორინგისა და სკრინინგის რეკომენდაციები პირველად ჯანდაცვაში

## 2. პროტოკოლით მოცული კლინიკური მდგომარეობები და ჩარევები

დასახელება	კოდი
კლინიკური მდგომარეობა	ICD-10
ზოგადი სამედიცინო გასინჯვა	Z00.0
ბავშვის ჯანმრთელობის მდგომარეობის რუტინული გამოკვლევა	Z00.1
ბავშვის შემოწმება სწრაფი ზრდის პერიოდში	Z00.2
სპეციალური სკრინინგული გამოკვლევა ნორმალური განვითარებიდან გადახრის გამოვლენის მიზნით	Z13.4
სპეციალური სკრინინგული გამოკვლევა თვალისა და ყურის ავადმყოფობების/დარღვევების გამოსავლენად	Z13.5
თვალისა და მხედველობის შემოწმება	Z01.0
ყურებისა და სმენის შემოწმება	Z01.1
განვითარების ეტაპების დაყოვნება	R62.0
მოსალოდნელი ნორმული ფიზიოლოგიური განვითარების დარღვევა, დაუზუსტებელი	R62.9
ჩარევის დასახელება	NCSP
რჩევა და ინფორმაცია რეაბილიტაციისთვის	R2
სარეაბილიტაციო თერაპია	R4

## 3. პროტოკოლის შემუშავების მეთოდოლოგია

წარმოდგენილი ფორმატით პროტოკოლი შემუშავებულია „დედათა და ბავშვთა ჯანმრთელობის კომპონენტის გაძლიერება პირველადი ჯანდაცვის სისტემაში ბავშვის განვითარების ასპექტების გაერთიანებით, მათ შორის, COVID-19 გაკვეთილების გათვალისწინებით“ პროექტის ფარგლებში, რომელიც ხორციელდება საქართველოში ჩეხეთის კარიტასის (CCR Georgia) მიერ გაეროს ბავშვთა ფონდის (UNICEF) დაფინანსებით. პროტოკოლი ძირითადად, ეყრდნობა აშშ-ს პედიატრიის აკადემიის რეკომენდაციებს, ასევე, „0-6 წლის ასაკის ბავშვთა ჯანმრთელობასა და განვითარებაზე ზედამხედველობის ძირითადი პრინციპები პირველად ჯანდაცვაში“ კლინიკური მდგომარეობის მართვის სახელმწიფო სტანდარტის (პროტოკოლის) დამტკიცების თაობაზე“ საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიებიდან დევნილთა, შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის მინისტრის 2021 წლის 1 სექტემბერს №01-344/ო ბრძანებით დამტკიცებულ პროტოკოლს, სხვა ავტორიტეტული საერთაშორისო

ორგანიზაციების მტკიცებულებებს/სახელმძღვანელოებს ანალოგიურ თემაზე. ლიტერატურის სრული ნუსხა პროტოკოლს თან ერთვის.

#### 4. პროტოკოლის მიზანი

- მიაწოდოს პირველადი ჯანდაცვის ექიმებს ინფორმაცია ბავშვის განვითარებაზე უწყვეტი ზედამხედველობის პრინციპის შესახებ;
- ხელი შეუწყოს პირველადი ჯანმრთელობის დაცვის სერვისების მიმწოდებლებს მოახდინონ ფოკუსირება არა მხოლოდ ჯანმრთელობის, არამედ განვითარებისა და ქცევის საკითხებზე;
- გააუმჯობესოს კავშირი ოჯახებსა და პირველადი ჯანდაცვის პროვაიდერებს შორის და უზრუნველყოს ბავშვის განვითარებაზე ხარისხობრივად უკეთესი სერვისების მიწოდება;
- გააუმჯობესოს განვითარებისა და ქცევის პრობლემების ადრეული გამოვლენა და ადეკვატური რეფერალი შესაბამის სპეციალისტებთან/სერვისში;
- პრობლემის გამოვლენის შემდგომ მოახდინოს განვითარებასა და ქცევაზე შემდგომი მეთვალყურეობა.

#### 5. სამიზნე ჯგუფი

სამიზნე ჯგუფს წარმოადგენენ 0-დან 6 წლამდე ასაკის ბავშვები, რომლებსაც ჯანმრთელობასა და განვითარებაზე ზედამხედველობას უწევს ოჯახის ექიმი ან პედიატრი.

#### 6. ვისთვის არის პროტოკოლი განკუთვნილი

პროტოკოლი განკუთვნილია პირველადი ჯანდაცვის რგოლში დასაქმებული ოჯახის ექიმებისა და პედიატრებისათვის (პირველადი ჯანდაცვის ცენტრი, სოფლის ამბულატორია, საოჯახო მედიცინის ცენტრი, სტაციონარის ამბულატორიული განყოფილებები და სხვ), რომლებიც ახორციელებენ ბავშვზე მეთვალყურეობას და აგრეთვე საპატრონაჟო მედდებისთვის.

#### 7. სამედიცინო დაწესებულებაში პროტოკოლის გამოყენების პირობები

პროტოკოლის გამოყენებისთვის აუცილებელია, რომ პროვაიდერი აღჭურვილი იყოს საქართველოს მოქმედი კანონმდებლობით გათვალისწინებული აუცილებელი ინვენტარით. სასურველია პროვაიდერი წინასწარ იყოს მომზადებული განვითარების სკრინინგის ჩასატარებლად და გავლილი ჰქონდეს შესაბამისი ტრენინგი განვითარების მონიტორინგის ინსტრუმენტის, აუტიზმის მოდიფიცირებული კითხვარის, ასაკისა და ეტაპების კითხვარის და სხვა სკრინინგული ინსტრუმენტის გამოყენების საკითხებზე. პროვაიდერისთვის ხელმისაწვდომი უნდა იყოს ეს კითხვარები/ტესტები (ნაბეჭდი ან ელექტრონული სახით), მან ასევე უნდა აწარმოოს ზედამხედველობისთვის

აუცილებელი დოკუმენტაცია მოქმედი კანონმდებლობის მიხედვით. აგრეთვე აუცილებელია პროვაიდერი ინფორმირებული იყოს განვითარების დარღვევებისა და შეფერხებების იდენტიფიცირების შემდგომ რეფერალის განხორციელების დროულობისა და ადგილმდებარეობის შესახებ.

## 8. რეკომენდაციები

### 8.1 განსაზღვრება, ეპიდემიოლოგია:

ბავშვის განვითარებაზე ზედამხედველობა თანმიმდევრული პროცესია, რომელიც ტარდება პირველადი ჯანდაცვის დაწესებულებაში პრევენციული ვიზიტების დროს და მოიცავს განვითარების მუდმივ მონიტორინგს/მეთვალყურეობას და პერიოდულ სკრინინგს.

- **განვითარების მონიტორინგი/მეთვალყურეობა** - ჯანმრთელობაზე ზედამხედველობის განუყოფელი ნაწილია და მოიცავს მშობლის ჩვილის გამოვლენას, განვითარების რისკ-ფაქტორების იდენტიფიცირებას, უშუალოდ დაკვირვებას ბავშვის განვითარებაზე.
- **განვითარების სკრინინგი** - სკრინინგი გამოავლენს იმ ბავშვებს, რომელთაც აღენიშნებათ განვითარების დარღვევების შესაძლო რისკი და საჭიროებენ განვითარების ღრმა შეფასებას. სკრინინგი არ ადგენს დიაგნოზს. სკრინინგი ტარდება სტანდარტული/ვალიდური სკრინინგული ტესტების მაგ.: ასაკისა და ეტაპების კითხვარი -ASQ ან განვითარების სტატუსის შეფასება მშობლების მიერ - PEDS ან - ბავშვის განვითარების ნიშანსვეტების კითხვარი GMSD - და სხვ. ინსტრუმენტების საშუალებით.
- **განვითარებისა და ქცევის შეფასება** - სრულყოფილი/დეტალური შეფასების პროცესია, რომლის მიზანია განვითარებისა და ქცევის დარღვევების იდენტიფიცირება, ჩარევისა და დიაგნოსტიკის გეგმის შემუშავება/განხორციელება. შეფასება ტარდება მულტიპროფილური გუნდის მიერ - განვითარების საკითხებში ექსპერტული გამოცდილების მქონე პედიატრი, ბავშვთა ფსიქიატრი, ფსიქოლოგი, ნევროლოგი და სხვა.
- **განვითარების შეფერხება** - მეთვალყურეობის, სკრინინგის ან განვითარების შეფასების პროცესში გამოვლენილი ჩამორჩენა განვითარების ერთ ან რამდენიმე სფეროსა და/ან ქვესფეროში ასაკობრივ ნიშანსვეტებთან შედარებით.
- **განვითარების დარღვევები** - მდგომარეობათა მრავალფეროვანი (ჰეტეროგენური) ჯგუფია, რომელიც მოიცავს დასწავლის, ენა/მეტყველების, კოგნიტური სფეროს, მოტორულ და ქცევით პრობლემებს და სხვ. მსგავსი დარღვევების მაგალითებია: ინტელექტუალური უნარშეზღუდულობა, აუტისტური სპექტრის დარღვევა, ყურადღების დეფიციტისა და ჰიპერაქტიულობის სინდრომი, ბავშვთა ცერებრული დამბლა, სმენის

პრობლემები და სხვა. განვითარების დარღვევების დიაგნოსტიკა შესაძლებელია რეფერალის შემდეგ მულტიდისციპლინური გუნდის მიერ ჩატარებული ღრმა შეფასების შედეგად.

იდენტიფიცირებული განვითარების დარღვევების სტატისტიკა უკანასკნელ ათწლეულებში მზარდია. ყველაზე ხშირი დიაგნოზებია აუტისტური სპექტრის დარღვევა და ჰიპერაქტიულობისა და ყურადღების დეფიციტის სინდრომი. სავარაუდო მიზეზებად მოიაზრება განვითარებაზე მეთვალყურეობის პროცესის გაუმჯობესება, დღენაკლულთა და განვითარების მანკების მქონე ბავშვების გადარჩენის და მრავალნაყოფიანი/გვიანი ფეხმძიმობის სიხშირის მატება. აშშ დაავადებათა კონტროლის ცენტრის მონაცემებით 2018 წელს ბავშვთა პოპულაციის 16.7%-ს ქონდა განვითარების ჩამორჩენა ან დარღვევა. სტანდარტიზებული ინსტრუმენტის გარეშე განვითარების დარღვევის მქონე ბავშვთა მხოლოდ 30%-ის იდენტიფიკაცია ხდება, ხოლო სტანდარტიზებული ინსტრუმენტის გამოყენებისას კი ეს ციფრი 70-80%-ს აღწევს.

## **8.2 განვითარების მეთვალყურეობისა და სკრინინგის დადებითი მხარეები და შესაძლო პრობლემები:**

*დადებითი მხარე:*

- მეთვალყურეობისა და სკრინინგის კომბინაცია აუმჯობესებს განვითარების შეფერხების გამოვლენას და ხელს უწყობს ადრეულ ინტერვენცია/ჩარევას. ადრეული გამოვლენა და ადრეული ინტერვენცია დაკავშირებულია უკეთეს განვითარებით გამოსავალთან.
- განვითარების მეთვალყურეობისა და სკრინინგის მეთოდოლოგიის კომბინირებული გამოყენება შესაძლებლობას იძლევა მაქსიმალურად გამოვლინდეს ინტერვენციული სერვისების საჭიროებების მქონე ადრეული ასაკის ბავშვები.
- პჯდ-ში განვითარების და ქცევის პრობლემების ადრეული გამოვლენა და რეფერალი ხელს უწყობს პრობლემების ეტიოლოგიის დროულ დადგენას და მართვას მულტიპროფილურ ცენტრებში. ეს მშობელს საშუალებას აძლევს მოერგოს შვილის შესაძლებლობებს, განახორციელოს ადეკვატური განვითარებითი და სტიმულაციური ჩარევა და მიაღწიოს ბავშვის პოტენციალის მაქსიმალურ გამოვლენას.
- ადრეულ ასაკში ბავშვის განვითარებაზე მეთვალყურეობა და სკრინინგი ამცირებს სასკოლო ასაკის სპეციალური საჭიროებების მქონე ბავშვთა რაოდენობას და აუმჯობესებს ადაპტური სფეროს განვითარებას.

*შესაძლო პრობლემები:*

მეთვალყურეობისა და სკრინინგის შედეგი შეიძლება იყოს ცრუ დადებითი და ცრუ უარყოფითი.

- ცრუ დადებითი შედეგი - სკრინინგით გამოვლინდა პრობლემა, რომელიც არ დადასტურდა ღრმა შეფასებით.
- ცრუ უარყოფითი შედეგები - სკრინინგით ვერ გამოვლინდა რეალური პრობლემა და დაგვიანდა ინტერვენციულ სერვისებში ბავშვის ჩართვა.

ცრუ დადებითი და ცრუ უარყოფითი შედეგების შემცირება შესაძლებელია ვალიდური, მგრძნობიარე სკრინინგული ინსტრუმენტების ეფექტური გამოყენებით, აგრეთვე პჯდ პროვაიდერის მუდმივი გადამზადებითა და სწვლებით.

შეფერხების დაგვიანებული გამოვლენა მაგ.: სასკოლო ასაკში იწვევს ინტერვენციის დაგვიანებას და შედეგად იზრდება ქცევის დარღვევების რისკი და ქვეითდება სასკოლო მოსწრება.

### 8.3 ბავშვის განვითარებაზე მეთვალყურეობა/მონიტორინგი

ბავშვის განვითარებაზე მეთვალყურეობა/მონიტორინგი მოიცავს მშობლის ჩივილის გამოვლენას, განვითარების ანამნეზის შეფასებას, განვითარების რისკ-ფაქტორების იდენტიფიცირებას, დაკვირვებას მშობლისა და ბავშვის ურთიერთობაზე და უშუალო დაკვირვებას ბავშვის განვითარებაზე - ნიშანსვეტების შეფასებას.

**მშობლის ჩივილის გამოვლენა** - ჯანმრთელობის და განვითარების ზედამხედველობის ყველა ვიზიტის დროს ყურადღება უნდა გამახვილდეს მშობლის ჩივილის გამოვლენაზე და ამისთვის რეკომენდებულია დაისვას კითხვები, რომლებიც საშუალებას იძლევა გამოვლინდეს მშობლის ჩივილი განვითარების ყველა სფეროსა და ქვესფეროს შესახებ:

- კმაყოფილი ხართ თუ არა თქვენი შვილის განვითარებით? თუ არა რატომ?
- კმაყოფილი ხართ თუ არა თქვენი შვილის ქცევით? თუ არა რატომ?
- ხომ არ გაქვთ ჩივილი მტევნების, ხელების, ფეხების მოძრაობებთან დაკავშირებით? დადებითი პასუხის შემთხვევაში, ახსენით.
- ხომ არ გაქვთ ჩივილი ბავშვის მიერ ბგერების/სიტყვების წარმოთქმასთან დაკავშირებით? დადებითი პასუხის შემთხვევაში, ახსენით.
- ხომ არ გაქვთ ჩივილი რამდენად ესმის ბავშვს თქვენი? დადებითი პასუხის შემთხვევაში, ახსენით.
- ხომ არ გაქვთ ჩივილი ბავშვის სხვა ბავშვებთან ან მოზრდილებთან ურთიერთობასთან დაკავშირებით? დადებითი პასუხის შემთხვევაში, ახსენით.
- ხომ არ გაქვთ ჩივილი ბავშვის სწავლასთან დაკავშირებით? დადებითი პასუხის შემთხვევაში, ახსენით.

მშობლის ნებისმიერი ჩივილი დეტალურად უნდა იყოს გაანალიზებული ექიმის მიერ. მშობლის ჩივილი შესაძლოა იყოს ერთ-ერთი მიზეზი შერჩევითი სკრინინგის ჩასატარებლად.

მშობლის ჩვილის გათვალისწინება შესაძლებლობას იძლევა გამოვლინდეს ისეთი პრობლემა, რომელიც მეთვალყურეობის პროცესში ძნელი შესამჩნევია. ამავე დროს, თუ მშობელს არ აქვს ჩვილი, ეს არ გამორიცხავს განვითარების შეფერხების არსებობას. დადგენილია, რომ განვითარების შეფერხების/დარღვევის მქონე ბავშვთა მშობლების 20-25%-ს არ აქვს ჩვილი.

**განვითარების ანამნეზი** - უნდა შეფასდეს წინა ვიზიტის შემდეგ რა მიღწევები აქვს ბავშვს განვითარებასა და ქცევაში. ფასდება მშობლის გამოკითხვით. მაგ.: რა ცვლილებებს ატყობთ ბავშვს წინა ვიზიტის შემდეგ? რა ახალი უნარი აითვისა ბავშვმა წინა ვიზიტთან შედარებით?

**მშობლისა და ბავშვის ურთიერთობაზე დაკვირვება** - ფასდება მშობლის მხრიდან ბავშვის მიმართ მზრუნველობა, სიყვარულისა და ინტერესის გამომხატველი ქმედებები, ბავშვის დამოკიდებულება მშობელთან - ძლიერი, გამოხატული ემოციური კავშირი მშობელთან.

**სამედიცინო, ფსიქოსოციალური რისკები და დამცველობითი ფაქტორების შეფასება**

რისკის ფაქტორებს მიეკუთვნება:

- პრენატალური პრობლემები - მაგ.: დედის ინფექციური თუ არაინფექციური დაავადებები, ალკოჰოლის, თამბაქოს, ნარკოტიკების გამოყენება ორსულობის დროს;
- ახალშობილობის პრობლემები - მაგ.: დღენაკლულობა, მცირე წონა დაბადებისას, პერინატალური ინფექციები, ნებისმიერი მიზეზით განპირობებული დაყოვნება ახალშობილთა კრიტიკული მოვლის დეპარტამენტში;
- სამედიცინო პრობლემები - მაგ.: ტყვიით ინტოქსიკაციის დიაგნოსტირებული ან სავარაუდო შემთხვევა, გულის თანდაყოლილი მანკი და სხვ.;
- გენეტიკური დაავადებები - მაგ.: დაუნის სინდრომი, მყიფე X ქრომოსომის სინდრომი და სხვ.;
- სოციალური და ოჯახის პრობლემები - მაგ.: სიღარიბე, საკვების დეფიციტი ძალადობა და უგულვებელყოფა ოჯახში;
- ეკრანთან გატარებული დრო;
- განათლების დეფიციტი მშობლებთან;
- მარტოხელა და/ან მოზარდი მშობლები;
- მშობლის/მშობლების უმუშევრობა და მენტალური პრობლემები - მაგ. შფოთვა, ნარკომანია, დეპრესია.

ადრეული ჩვილობის (6 თვემდე) პერიოდში აუცილებელია დედის მენტალური სტატუსის შეფასება შესაბამისი კითხვარის მეშვეობით. დედის მენტალური ჯანმრთელობა (მშობიარობის შემდგომი დეპრესია) ზემოქმედებს ბავშვის



განვითარებასა და ქცევაზე, აფერხებს მიჯაჭვულობის ჩამოყალიბებას და წარმოადგენს საზოგადოებრივი ჯანმრთელობის პრობლემას. დედის მენტალური ჯანმრთელობის შეფასების მიზნით რეკომენდებულია სკრინინგული კითხვარის გამოყენება (იხ. დანართი N1).

განვითარებაზე ზედამხედველობის პროცესში 2 და მეტი რისკ-ფაქტორის აღმოჩენის შემთხვევაში აუცილებელია უფრო ხშირი მეთვალყურეობა. თუ რისკ-ფაქტორებთან ერთად ვლინდება ნიშანსვეტის დაგვიანება ან მშობლის ჩივილი ტარდება დამატებითი რიგგარეშე სკრინინგი და/ან რეფერალი განვითარებისა და ქცევის შეფასების მიზნით.

**დაკვირვება ბავშვის განვითარებაზე - ასაკობრივი ნიშანსვეტების შეფასება.**

**განვითარების ნიშანსვეტი** ასახავს ასაკის შესაბამის მიღწევებს, იმ უნარ-ჩვევებს (მაგ.: თავის დაჭერა, დამოუკიდებელი სიარული, მარცვლების წარმოქმნა), რომელსაც ასრულებს მოცემული ასაკის ბავშვთა პოპულაციის ნახევარი. დანართ N2-ში მოცემულია ასაკობრივი ნიშანსვეტები.

გათვალისწინებული უნდა იყოს, რომ ბავშვმა შესაძლებელია გამოტოვოს რომელიმე ეტაპი, მაგ.: დადგეს და გაიაროს ცოცვის გარეშე. ბავშვის განვითარება ინდივიდუალური პროცესია და ცალკეულ შემთხვევაში შეიძლება რამდენადმე ჩამორჩეს ან წინ გაუსწროს ასაკს, რაც დამოკიდებულია ბავშვის ჯანმრთელობის მდგომარეობაზე, სოციალურ გარემოზე, აღზრდისა და მოვლის პირობებზე და სხვ. ის ფაქტი, რომ ბავშვი ვერ ასრულებს ასაკის შესაბამის ნიშანსვეტს, ყოველთვის არ მიუთითებს განვითარების პრობლემაზე, შესაძლებელია იგი გამოწვეული იყოს აღმზრდელობითი ხასიათის მიზეზებით.

დღენაკლულობის შემთხვევაში განვითარების ნიშანსვეტების შეფასებისას 24 თვემდე უნდა მოხდეს ასაკის კორეგირება და ნიშანსვეტების კორეგირებული ასაკის მიხედვით შეფასება. კორეგირებული ასაკი = ქრონოლოგიური ასაკი - (40 კვირა - ბავშვის გესტაციური ასაკი კვირებში). ქრონოლოგიური ასაკი - ბავშვის ასაკი დაბადებიდან შეფასების დღემდე კვირებში.

**ბავშვზე უშუალო დაკვირვებით შეიძლება გამოვლინდეს შემდეგი:**

- ბავშვი ასრულებს ასაკობრივ ნიშანსვეტებს, ე.ი მისი განვითარება შეესაბამება ასაკს და ის არ საჭიროებს დამატებით კვლევას. ამ დროს გრძელდება გეგმიური მეთვალყურეობა, ექიმმა უნდა მისცეს დედას რეკომენდაციები როგორ შეუწყოს ხელი მის შემდგომ განვითარებას.
- ბავშვი ვერ ასრულებს ასაკობრივ ნიშანსვეტებს (2 ან მეტი სფერო ან ქვესფერო) და/ან გამოვლინდა მშობლის ჩივილი - რეკომენდებულია რიგგარეშე სკრინინგის ჩატარება, რათა გამოვლინდეს განვითარების შეფერხების რისკის მქონე ბავშვები, რომლებიც საჭიროებენ ღრმა გამოკვლევას.

- თუ ბავშვი ვერ ასრულებს ერთი რომელიმე სფეროს ასაკობრივ ნიშანსვეტებს მიზანშეწონილია რიგგარეშე სკრინინგის დროს ფოკუსირება მოცემულ სფეროზე.
- განვითარებაზე ზედამხედველობის პროცესში 2 და მეტი რისკ-ფაქტორის აღმოჩენის შემთხვევაში აუცილებელია უფრო ხშირი მეთვალყურეობა.

ნებისმიერ სფეროში უკვე მიღწეული ნიშანსვეტების გაქრობა (დაკარგვა), წარმოადგენს ძალიან სერიოზულ საშიშროების ნიშანს და საჭიროებს დაუყოვნებელ რეფერალს ღრმა შეფასებისთვის მულტიდისციპლინური გუნდის მიერ.

განვითარებაზე მეთვალყურეობის პროცესში განსაკუთრებული ყურადღება ექცევა მეტყველების შეფერხებისა და ქცევითი დარღვევების (აუტისტური სპექტრის დარღვევების) საშიშროების ნიშნებს (იხ. დანართი N3). აღნიშნული საშიშროების ნიშნების აღმოჩენისთანავე რეკომენდებულია დაუყოვნებელი რეფერალი ინტერვენციულ სერვისში ჩასართავად და პარალელურად განვითარების ღრმა შეფასება მულტიდისციპლინური გუნდის მიერ.

**ჩანაწერის (ელექტრონული ან ქაღალდმატარებელზე) წარმოება** - პრობლემის იდენტიფიცირების დროს მნიშვნელოვანია ყველა პრობლემის დაფიქსირება, შესატყვისი რეფერალის გეგმის შემუშავება.

**თანამშრომლობა შესაბამის სოციალურ და სამედიცინო სერვისებთან** - აუცილებელია, რომ პროვაიდერმა იცოდეს სად და როდის განახორციელოს რეფერალი, ასევე ჰქონდეს მჭიდრო უკუკავშირი განვითარების შეფასების ადგილობრივ ცენტრთან და ინტერვენციული სერვისის გამტარებელთან.

#### 8.4 განვითარების სკრინინგი

განვითარების სკრინინგი შეიძლება იყოს უნივერსალური/საყოველთაო და რიგგარეშე.

**უნივერსალური სკრინინგი 6 წლამდე ასაკის ბავშვებთან ტარდება** კონკრეტული ასაკობრივი ვიზიტების დროს - 9, 18, 24 და 30 თვე, როდესაც შესაძლებელია განვითარების ძირითადი, საკვანძო პრობლემის აღმოჩენა. 9, 18 და 30 თვეზე ტარდება განვითარების სკრინინგი ჩამოთვლილიდან რომელიმე კითხვარით: ასაკისა და ეტაპების კითხვარი -ASQ ან განვითარების სტატუსის შეფასება მშობლების მიერ -PEDS ან - ბავშვის განვითარების ნიშანსვეტების კითხვარი GMSD - და სხვა ინსტრუმენტების საშუალებით. 18 თვეზე და 24 თვეზე ტარდება აუტისტური სპექტრის დარღვევების სკრინინგი შესაბამისი კითხვარით M-CHAT-R (იხ. დანართი 4).

- **9 თვის ვიზიტის სკრინინგი** - ამ ასაკში შესაძლებელია უხეში და ნატიფი მოტორული, მხედველობისა და სმენის, აგრეთვე რეცეფციული მეტყველების პრობლემების აღმოჩენა. სკრინინგის შედეგად შეიძლება გამოვლინდეს ცერებრული დამბლის ნიშნები და სხვა ნეირომოტორული დარღვევები.
- **18 თვის ვიზიტის სკრინინგი** - ამ ასაკში შესაძლებელია ნატიფი და უხეში მოტორიკის, ექსპრესიული და რეცეფციული მეტყველების, სოციალური სფეროს პრობლემების აღმოჩენა. ამ ასაკში ასევე შესაძლებელია აუტიზმის ადრეული

სპეციფიური ნიშნების იდენტიფიცირებაც შესაბამისი სკრინინგული კითხვარის M-CHAT-R მეშვეობით.

- **24 თვის ვიზიტის სკრინინგი** - განმეორებით ტარდება აუტიზმის სკრინინგი, რაც საშუალებას იძლევა 18 თვის ვიზიტის დროს არაიდენტიფიცირებული ნიშნების მაღალი სიზუსტით აღმოსაჩენად. ასევე რეკომენდებულია ჩატარდეს განვითარების სკრინინგი თუ ის არ ჩატარებულა 18 თვეზე ან პროვაიდერი თვლის, რომ ოჯახის მხრიდან შემდეგი სკრინინგული ვიზიტი (30 თვე) სავარაუდოდ ვერ განხორციელდება.
- **30 თვის ვიზიტის სკრინინგი** - ამ ასაკში შესაძლოა გამოვლენილ იქნას ექსპრესიული და რეცეფციული მეტყველების, სოციალური და კოგნიტური სფეროს შეფერხებები, ისევე როგორც მოტორული დარღვევები.

**შერჩევითი/რიგგარეშე სკრინინგი 6 წლამდე ასაკის ბავშვებთან:**

რიგგარეშე სკრინინგი ტარდება განვითარებაზე მეთვალყურეობა/მონიტორინგის დროს მშობლის ჩვილის და/ან დაგვიანებული ნიშნასვეტების და/ან შეფასების პროცესში იდენტიფიცირებული ნებისმიერი პრობლემის დროს. შერჩევითი სკრინინგისთვის გამოიყენება იგივე სკრინინგული კითხვარები, რაც საყოველთაო სკრინინგის დროს.

**8.5 სკრინინგის შედეგების ინტერპრეტაცია და შემდგომი ქმედებები:**

განვითარების სკრინინგის უარყოფითი შედეგის შემთხვევაში შემდგომი ქმედება დამოკიდებულია მშობლის მიერ აღწერილ პრობლემასა ან გამოვლენილ ჩვილზე:

- მშობელს არ აქვს ჩვილები განვითარებასა და ქცევასთან დაკავშირებით და სკრინინგიც უარყოფითია - განვითარების დარღვევისა და შეფერხების არსებობის რისკი მინიმალურია და გრძელდება რუტინული მეთვალყურეობა;
- გამოვლენილია მშობლის ჩვილი, მაგრამ სკრინინგი უარყოფითია - განიხილება უფრო ხშირი მეთვალყურეობის ვიზიტები, რეფერალი განვითარების შეფასებისათვის მშობლის ჩვილის საფუძველზე, პირველადი ჯანდაცვის სტრუქტურულიდანვე ბავშვის ჩართვა შესაბამის ინტერვენციულ სერვისში და შემდგომი მეთვალყურეობა ჩვილის გამოვლენისა და შეფერხების იდენტიფიცირების მიზნით.

**სკრინინგის დადებითი შედეგის** (გამოვლინდა პრობლემა) და მეტყველების შეფერხებისა და ქცევითი დარღვევების (აუტისტური სპექტრის დარღვევების) **საშიშროების ნიშნების აღმოჩენის** და ნებისმიერ სფეროში უკვე მიღწეული ნიშნისთვის **გაქრობის (დაკარგვის)** შემთხვევაში აუცილებელია ბავშვის **რეფერალი** განვითარების და ქცევის ღრმა, გაფართოებული შეფასებისათვის შესაბამის მულტიპროფილურ კლინიკებში. განვითარების შეფასების პარალელურად უნდა მოხდეს ბავშვის ჯანმრთელობის შეფასებაც და ინტერვენციულ სერვისებში დაუყოვნებელი ჩართვა.

განვითარების სკრინინგის დადებითი შედეგის შემთხვევაში ან როდესაც გვაქვს საშიშროების ნიშანი მეტყველების ან ქცევის სფეროში, დამატებით რეკომენდებულია:

- სმენის შეფასება - ინსტრუმენტული სკრინინგი (პჯდ-ში თუ არის ამის შესაძლებლობა, თუ არ არის - რეფერალი);

- მხედველობის შეფასება ოფთალმოლოგის მიერ;
- ახალშობილობის მეტაბოლური სკრინინგების გადამოწმება (ჩატარებულია თუ არა და რა შედეგია მიღებული - ინფორმაციის მოძიება) - პჯდ ექიმის მიერ;
- ფიზიკური განვითარების შეფასება - განსაკუთრებით თავის გარშემოწერილობის ზრდის დინამიკის შეფასება - პჯდ ექიმის მიერ;
- ოჯახის, სოციალური და გარემო ფაქტორების დეტალური შეფასება პჯდ ექიმის მიერ სავარაუდო ზემოქმედების იდენტიფიცირების მიზნით (იხ. რისკის ფაქტორების ჩამონათვალი).

**განვითარების ღრმა შეფასების - რეფერალის შესაძლო შედეგებია:**

- **დადასტურდა განვითარების დარღვევა** (ჭეშმარიტად დადებითი სკრინინგული ტესტი). შესაძლოა ბავშვი იდენტიფიცირებული იყოს როგორც სპეციალური საჭიროებების მქონე და ჩაერთოს ინტერვენციულ და/ან სპეციალურ საგანმანათლებლო პროგრამებში. ამ შემთხვევაში პირველადი ჯანდაცვის სტრუქტურა ახორციელებს უფრო ხშირ ზედამხედველობას მის ჯანმრთელობაზე, განვითარებასა და ქცევაზე.
- **არ დადასტურდა განვითარების დარღვევა** (ცრუ დადებითი სკრინინგული ტესტი). ბავშვი არ არის იდენტიფიცირებული როგორც განვითარების შეფერხების ან დარღვევის მქონე და ამიტომაც მასზე გრძელდება ასაკის შესაბამისი რუტინული მეთვალყურეობა/მონიტორინგი. შემდგომ პერიოდში გამოვლენილი მშობლის ჩივილი ან ნიშანსვეტების ჩამორჩენა ასაკთან შედარებით ხდება დამატებითი სკრინინგის მიზეზი. სხვა, ასაკის შესაბამისი სკრინინგები გრძელდება ჩვეულებრივ, მოწოდებული სიხშირითა და თანამიმდევრობით.

**8.6 ბავშვის განვითარებაზე მეთვალყურეობის და სკრინინგის რეკომენდაციები - შეჯამება:**

- განვითარებაზე მეთვალყურეობა/მონიტორინგი და სკრინინგის კომბინაცია არის საუკეთესო მეთოდი ადრეულ ასაკში განვითარების შეფერხებებისა და დარღვევების დროული იდენტიფიკაციისათვის. ეს ხელს უწყობს პრობლემის დროული დიაგნოსტიკის პროცესს, ადრეულ ჩარევებს და აუმჯობესებს განვითარებით გამოსავალს.
- განვითარებაზე მეთვალყურეობა/მონიტორინგი ჯანმრთელობის მეთვალყურეობის ვიზიტების განუყოფელი ნაწილია და მოიცავს მშობლის ჩივილის გამოვლენას, განვითარების პროგრესის შეფასებას, განვითარებაზე მოქმედი რისკისა და ხელშემწყობი ფაქტორების დადგენას და განვითარებაზე უშუალო დაკვირვებას ანუ ასაკობრივი ნიშანსვეტების შეფასებას.
- განვითარების და ქცევის სკრინინგი ტარდება 9, 18, 24 და 30 თვის ვიზიტებზე, როგორც საყოველთაო უნივერსალური სკრინინგი და მშობლის ჩივილის გამოვლენის ან ნიშანსვეტის დაგვიანების დროს კი როგორც რიგგარეშე სკრინინგი. სკრინინგისათვის გამოიყენება ვალიდური კითხვარები.

- 9, 18 და 30 თვეზე ტარდება ასაკისა და ეტაპების კითხვარი -ASQ ან განვითარების სტატუსის შეფასება მშობლების მიერ-PEDS ან - ბავშვის განვითარების ნიშანსვეტების კითხვარი GMSD - და სხვა ინსტრუმენტების საშუალებით.
- 18 და 24 თვეზე ტარდება აუტიზმის სკრინინგი შესაბამისი კითხვარით.

სკრინინგისადმი მიგდომა (ასაკის, მშობლის ჩივილის და სიმპტომების გათვალისწინებით) მოცემულია სქემაზე N1 (იხ.დანართი 5).

**9. პროტოკოლის დანერგვისთვის საჭირო ადამიანური და მატერიალურ-ტექნიკური რესურსი**

რესურსი	ფუნქციები/მნიშვნელობა	შენიშვნა
ადამიანური		
ოჯახის ექიმი/პედიატრი	ბავშვის განვითარებაზე ზედამხედველობის განხორციელება, განვითარების სკრინინგი, დროული გამოვლენა და საჭიროებისას ბავშვის დროული რეფერალი შესაბამისი ჩარევისთვის.	
ექთანი	ბავშვის პრევენციული ვიზიტების ორგანიზება, შეხსენებების უზრუნველყოფა შესაბამის ვიზიტებზე ბავშვის გამოცხადებისთვის, ექიმის მითითებით ბინაზე ვიზიტების განხორციელება, პარობლემის გამოვლენისას ბავშვის რეფერალი ოჯახის ექიმთან ან პედიატრთან, მშობლის განათლება განვითარების, მოვისა და უსაფრთხოების პრიორიტეტულ თემებზე	
რეგისტრატორი	პაციენტების სატელეფონო ზარების მართვა, ბინაზე და კლინიკაში ვიზიტების ორგანიზება	
მენეჯერი/ადმინისტრატორი	პროტოკოლის დანერგვის ხელშეწყობა; დანერგვაზე მეთვალყურეობა;	

	აუდიტის ჩატარება და შედეგების ანალიზი	
<b>მატერიალურ-ტექნიკური რესურსები</b>		
<ul style="list-style-type: none"> <li>• განვითარების და აუტიზმის სკრინინგის კითხვარები (ასაკისა და ეტაპების კითხვარი - ASQ ან განვითარების სტატუსის შეფასება მშობლების მიერ - PEDS ან - ბავშვის განვითარების ნიშანსვეტების კითხვარი GMSD - და სხვ. ინსტრუმენტების საშუალებით. M-CHAT-R)</li> <li>• ნიშანსვეტების შეფასებისათვის აუცილებელი ინვენტარი: კუბები, რბილი სათამაშო, ჭიქა, კოფი, თოჯინა და სხვ, ფანქარი, დასურათებული პატარა წიგნი და სხვ.</li> </ul>	განვითარების და აუტიზმის სკრინინგი შესაბამის პრევენციულ ვიზიტებზე ან მათი გამოყენება რიგგარეშე სკრინინგისათვის	
პაციენტის საგანმანათლებლო მასალა	ბავშვის მშობლების განათლება	

## 10. აუდიტის კრიტერიუმები

### სტრუქტურის აუდიტი

1. დაწესებულებას გააჩნია 0-6 წლამდე ბავშვთა განვითარებაზე მეთვალყურეობის პროტოკოლი.
2. ოჯახის ექიმებს/პედიატრებს და ექთნებს ესწრებოდნენ ტრენინგს და დაეუფლნენ აღნიშნულ პროტოკოლის გამოყენებას.
3. დაწესებულება გააჩნია სათანადო ინფრასტრუქტურა მეთვალყურეობის განხორციელებისთვის (ოთახი, განვითარების შეფასების კითხვარები).

### **პროცესის აუდიტი**

1. 0-1 წლამდე ასაკიც ბავშვთა რაოდენობა, რომელთაც ჩაუტარდათ სულ მცირე, 5 პრევენციული ვიზიტი.
2. 3 წლამდე ასაკის ბავშვთა რაოდენობა, რომელთაც ჩაუტარდათ განვითარების სკრინინგი სპეცილური კითხვარით 9, 18 და 30 თვის ასაკში.
3. 3 წლამდე ასაკის ბავშვთა რაოდენობა, რომელთაც ჩაუტარდათ აუტიზმის სკრინინგი 18 და 24 თვის ასაკში.
4. იმ ბავშვების მშობელთა %, რომელთაც ჩაუტარდათ საგანმანათლებლო კონსულტირება ბავშვის ასაკისთვის პრიორიტეტულ თემებზე.

### **გამოსავლის აუდიტი**

1. ბავშვების რაოდენობა, რომლებსაც გამოუვლინდათ განვითარების შეფერხება და გაიგზავნენ შესაბამისი ჩარევისთვის.
2. ბავშვების რაოდენობა, რომლებიც გაიგზავნენ აუტიზმის სპეციალიზებულ ცენტრებში.
3. ბავშვების რაოდენობა, რომელთაც გამოუვლინდათ განვითარების შეფერხების და/ან დარღვევის რისკ-ფაქტორები და გაიგზავნენ შესაბამის შესაბამის სამსახურში.
4. ბავშვების ის რაოდენობა, რომელთაც გამოუვლინდათ საშიშროების ნიშნები და გაიგზავნენ ღრმა შეფასებისათვის.
5. ბავშვების ის რაოდენობა, რომელიც გამოვლენის შემდგომ მეთვალყურეობის ქვემ იმყოფებიან პჯდ-ში.

## **11. პროტოკოლის გადახედვის ვადები**

სასურველია პროტოკოლი გადაიხედოს და შეივსოს გამოყენებული წყაროების განახლების შემთხვევაში, ახალი მტკიცებულებების გათვალისწინებით.

## **12. სამუშაო ჯგუფი:**

**მაია ხერხეულიძე** - თბილისის სახელმწიფო სამედიცინო უნივერსიტეტის მედიცინის ფაკულტეტის და საერთაშორისო მედიცინის და სტომატოლოგიის ფაკულტეტის პედიატრიული დეპარტამენტი, მედიცინის დოქტორი.



ნანა ყავლაშვილი - თბილისის სახელმწიფო სამედიცინო უნივერსიტეტის მედიცინის ფაკულტეტის და საერთაშორისო მედიცინის და სტომატოლოგიის ფაკულტეტის პედიატრიული დეპარტამენტი, მედიცინის დოქტორი.

ეკა კანდელაკი - თბილისის სახელმწიფო სამედიცინო უნივერსიტეტის მედიცინის ფაკულტეტის და საერთაშორისო მედიცინის და სტომატოლოგიის ფაკულტეტის პედიატრიული დეპარტამენტი, მედიცინის დოქტორი.

### 13. გამოყენებული ლიტერატურა

1. „0-6 წლის ასაკის ბავშვთა ჯანმრთელობასა და განვითარებაზე ზედამხედველობის ძირითადი პრინციპები პირველად ჯანდაცვაში“- კლინიკური მდგომარეობის მართვის სახელმწიფო სტანდარტის (პროტოკოლის) დამტკიცების თაობაზე“ – (საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიებიდან დევნილთა, შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის მინისტრის 2021 წლის 1 სექტემბრის №01-344/ო ბრძანება) <https://www.moh.gov.ge/ka/guidelines/>;
2. AAP Schedule of Well-Child Care Visits American Academy of Pediatrics (Copyright © 2020): <https://www.healthychildren.org/English/family-life/health-management/Pages/Well-Child-Care-A-Check-Up-for-Success.aspx>;
3. Detection of postnatal depression: Development of the 10-item Edinburgh Postnatal Depression Scale. Cox JL, Holden JM, Sagovsky R. The British Journal of Psychiatry. 1987; 150(6):782-786. BC Reproductive Mental Health Program and Perinatal Services BC. (2014), Best Practice Guidelines for Mental Health Disorders in the Perinatal Period. Available at: <http://tiny.cc/MHGuidelines>;
4. Developmental-behavioral surveillance and screening in primary care, Jennifer Aites, MD, Alison Schonwald, MD, up to date, updated: Jan 30, 2020;
5. აუტიზმის მოდიფიცირებული, განახლებული კითხვარი ადრეული ასაკის ბავშვებისთვის შემდგომი შეფასების სქემა/კითხვარით. [https://mchatscreen.com/wp-content/uploads/2015/12/M-CHAT-R\\_F\\_Georgian.pdf](https://mchatscreen.com/wp-content/uploads/2015/12/M-CHAT-R_F_Georgian.pdf)

### 14. დანართები



# დანართი N1 - დეპრესიის შკალა

## პრენატალური/პოსტნატალური დეპრესიის შკალა

გამოიყენება ორსულობის დროს 28 – 32 კვირაზე და მშობიარობის შემდეგ მე-6 – 8 კვირაზე

გვარი, სახელი: \_\_\_\_\_ თარიღი: \_\_\_\_\_ გესტაცია/კვირა \_\_\_\_\_

ჩვენ გვინტერესებს, როგორ გრძნობთ თავს, თუ თქვენ ორსულად ხართ ან ახლახან იმშობიარეთ. ამიტომ გთხოვთ, აირჩიოთ პასუხი (X-ით), რომელიც ყველაზე მეტად ახასიათებს არა მხოლოდ დღევანდელ, არამედ თქვენს შეგრძნებებს უკანასკნელი 7 დღის განმავლობაში.

### უკანასკნელი 7 დღის განმავლობაში:

#### 1. შემიძლია გავიცინო და დავინახო მოვლენების სასიამოვნო მხარე

- 0  ისევე, როგორც ყოველთვის შემეძლო
- 1  ალბათ, არც ისე ხშირად, როგორც შემეძლო
- 2  ნამდვილად, არც ისე ხშირად, როგორც შემეძლო
- 3  არ შემიძლია

#### 2. ველი, რომ მომავალი სასიამოვნო იქნება

- 0  ისევე, როგორც ყოველთვის შემეძლო
- 1  ალბათ, არც ისე ხშირად, როგორც ადრე
- 2  ნამდვილად, არც ისე ხშირად, როგორც ადრე
- 3  არა, არასდროს

#### 3. ჩემს თავს ზედმეტად ვადანაშაულებ, როდესაც საქმე კარგად არ მიდის

- 3  დიახ, უმეტეს შემთხვევაში
- 2  დიახ, ხანდახან
- 1  არც ისე ხშირად
- 0  არა, არასდროს

#### 4. უმიზეზოდ ვარ აფორიაქებული და ადელევებული

- 0  არა, არასდროს
- 1  თითქმის არასდროს
- 2  დიახ, ხანდახან
- 3  დიახ, ძალიან ხშირად

#### 5. უმიზეზოდ მიტანს შიში და პანიკა

- 3  დიახ, ხშირად
- 2  დიახ, ხანდახან
- 1  არა, არც ისე ხშირად
- 0  არა, არასდროს

#### 6. იმდენი საქმე მაქვს, რომ თავს ვერ ვართმევ (ვერ ვუმკლავდები)

- 3  დიახ, ძირითადად თავს ვერ ვართმევ საქმეს
- 2  დიახ, ხანდახან ვერ ვუმკლავდები საქმეს ისე როგორც ადრე
- 1  არა, ძირითადად კარგად ვართმევ თავს საქმეს
- 0  არა, თავს ისევე ვართმევ საქმეს, როგორც ადრე

#### 7. ისე უბედურად ვგრძნობ თავს, რომ მიჭირს დაძინება

- 3  დიახ, უმეტეს შემთხვევაში
- 2  დიახ, ხანდახან
- 1  არც ისე ხშირად
- 0  არა, არასდროს

#### 8. თავს მოწყენილად და უბედურად ვგრძნობ

- 3  დიახ, უმეტეს შემთხვევაში
- 2  დიახ, ხანდახან
- 1  არც ისე ხშირად
- 0  არა, არასდროს

#### 9. იმდენად უბედური ვარ, რომ ვტირი

- 3  დიახ, უმეტეს შემთხვევაში
- 2  დიახ, ხანდახან
- 1  მხოლოდ ზოგჯერ
- 0  არა, არასდროს

#### 10. ვფიქრობ თვითდაზიანებაზე

- 3  დიახ, საკმაოდ ხშირად
- 2  ხანდახან
- 1  თითქმის არასდროს
- 0  არასდროს

საერთო ქულა

ზემოთ მოცემულ კითხვებზე გაცემულ თქვენს პასუხებზე ესაუბრეთ თქვენს სამედიცინო პროვაიდერს.

**პრენატალური/პოსტნატალური დეპრესიის შკალა  
ქულების შეფასების სახელმძღვანელო**

**1. შემიძლია გავიციხო და დავინახო მოვლენების სასიამოვნო მხარე**  
 0 ისევე, როგორც ყოველთვის შემედლო  
 1 ალბათ, არც ისე ხშირად, როგორც შემედლო  
 2 ნამდვილად, არც ისე ხშირად, როგორც შემედლო  
 3 არ შემიძლია

**2. ველი, რომ მომავალი სასიამოვნო იქნება**  
 0 ისევე, როგორც ყოველთვის შემედლო  
 1 ალბათ, არც ისე ხშირად, როგორც ადრე  
 2 ნამდვილად, არც ისე ხშირად, როგორც ადრე  
 3 არა, არასდროს

**3. ჩემს თავს ზედმეტად ვადანაშაულებ, როდესაც საქმე კარგად არ მიდის**  
 3 დიახ, უმეტეს შემთხვევაში  
 2 დიახ, ხანდახან  
 1 არც ისე ხშირად  
 0 არა, არასდროს

**4. უმიზეზოდ ვარ აფორიაქებული და აღელვებული**  
 0 არა, არასდროს  
 1 თითქმის არასდროს  
 2 დიახ, ხანდახან  
 3 დიახ, ძალიან ხშირად

**5. უმიზეზოდ მიტანს შიში და პანიკა**  
 3 დიახ, ხშირად  
 2 დიახ, ხანდახან  
 1 არა, არც ისე ხშირად  
 0 არა, არასდროს

**6. იმდენი საქმე მაქვს, რომ თავს ვერ ვართმევ (ვერ ვუმკლავდები)**  
 3 დიახ, ძირითადად თავს ვერ ვართმევ საქმეს  
 2 დიახ, ხანდახან ვერ ვუმკლავდები საქმეს ისე როგორც ადრე  
 1 არა, ძირითადად კარგად ვართმევ თავს საქმეს  
 0 არა, თავს ისევე ვართმევ საქმეს, როგორც ადრე

**7. ისე უბედურად ვგრძნობ თავს, რომ მიჭირს დაძინება**  
 3 დიახ, უმეტეს შემთხვევაში  
 2 დიახ, ხანდახან  
 1 არც ისე ხშირად  
 0 არა, არასდროს

**8. თავს მონყენილად და უბედურად ვგრძნობ**  
 3 დიახ, უმეტეს შემთხვევაში  
 2 დიახ, ხანდახან  
 1 არც ისე ხშირად  
 0 არა, არასდროს

**9. იმდენად უბედური ვარ, რომ ვტირი**  
 3 დიახ, უმეტეს შემთხვევაში  
 2 დიახ, ხანდახან  
 1 მხოლოდ ზოგჯერ  
 0 არა, არასდროს

**10. ვფიქრობ თვითდაზიანებაზე**  
 3 დიახ, საკმაოდ ხშირად  
 2 ხანდახან  
 1 თითქმის არასდროს  
 0 არასდროს

უკან ქულა	ინტერპრეტაცია	მოქმედება
<8	დეპრესია ნაკლებად სავარაუდოა	განაგრძეთ მხარდაჭერა
9-11	შესაძლო დეპრესია	მხარდაჭერა, განმეორებითი სკრინინგი 2-4 კვირაში.
12-13	დეპრესიის საკმაოდ მაღალი შესაძლებლობა	მონიტორინგი, მხარდაჭერა, შესავაზურე განათლება. შესაძლებელია რეფერალი
14 და მაღალი (დადებითი სკრინინგი)	სავარაუდო დეპრესია	დიაგნოსტიკური შეფასება და მკურნალობა სპეციალისტის მიერ
